საქართველოს სოც.-ფედერალისტთა რევოლუციური პარტია
დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო

ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“
[illegible]თვიურად ღირს 12,500 მ. სამგლოვიარო განცხადება 15,000 მ.;
კანტორა ღიაა დილის 8—2 საათამდე.
რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 12—1 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი დამფუძნებელი კრების ქ. № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 500 მანეთი

№ 87
[illegible]
1921 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისის აფთიაქებში მომუშავე თანამოაზრენი აუწყებენ ყველა ამხანაგებს და მეგობრებს საუკეთესო ამხანაგის და დაუღალავ პოლიტიკურ მოღვაწის

პარმენ ქიქინაძის

ტრაღიკულად გარდაცვალებას.

კომანდირი, სკოლის უფროსი, მფრინავები, მოწაფეები, მოტორისტები და წითელ-არმიელები ს. ს. ს. რ. საავიაციო დივიზიონისა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ ამა წლის სექტემბრის 30 ფრენის დროს დაიღუპა მფრინავ-მოწაფე

ამხ. კოლია ზერეკიძე

გამოსვენება ოქტომბრის 4 ს, 12 ს. არამიანცის საავადმყოფოდან თავისუფლების მოედნით დიდუბის სასაფლაოზე.

გულდაწყვეტილნი შვილები: დომენტი და ივანე გიორგის ძე არონიშიძეები, რძლები: ზინაიდა გიორგის ასული, ელისაბედ კონსტანტინეს ასული და ქვრივი ანასტასია ნიკოლოზის ასული, ქალიშვილები: ნინო და ელისაბედ გიორგის ასულნი, სიძეები: არჩილ ტეფანეს ძე დარეჯანაშვილი და გიორგი ვასილის ძე კვერნაძე, შვილიშვილები: ოლიმპიადა, ანეტა, ალექსანდრა, თინათინ, შალვა და რუსუდანი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობარ—ამხანაგებს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ დაუვიწყარ

მარიამ ოტიას ასულ ნიკოლაიშვილ-არონიშიძის

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე ნავთლუღში კუტილოვსკის ქ. № 11 სამხედრო ჰოსპიტლის პირდაპირ. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

სამშაბათს, ამა ოქტომბრის 4 ს ნაშუადღევს 4 საათზე წმ. იოანე ღვთისმეტყველის ეკლესიის გალავანში (ყორღანოვის ქუჩის ბოლო) გადახდილი იქნება წლის თავის პანაშვიდი ტრაღიკულად დაღუპულ

დავით |ბობრა| კანდელაკის

სულის მოსახსენებლად, რასაც უღრმეს მწუხარებაში მყოფნი დედა, ბიძა და და ძმები აუწყებენ ნათესავებს და ამხანაგებს.

კონსერვატორიის დარბაზი
ოთხშაბათს, ოქტომბრის 5-ს გაიმართება

პოეზიის საღამო

მოხსენება: ტიციან ტაბიძე „უახლოესი პოეზია“.

დეკლამაცია: ს. ჩიქოვანი: „ცეცხლიანი ფრინველები“, ტ. გრანელი: „შორეული ნიუანსები“.

პოეტების კონფერანსი: ტიციან ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, შ. აფხაიძე, გრ. ცეცხლაძე, გ. ლეონიძე, ნ. მიწიშვილი, ივ. ყიფიანი, რ. გვეტაძე, შ. კარმელი, ს. ჩიქოვანი, რ. გოგოხია, ტ. გრანელი, გ. აგარელი, ლ. ძიძიგური, გ. საგანელი, კ. ჩაჩავა, ე. ყანჩელი, გრ. ზოდელი, ხ. ვარდოშვილი, კონნე სპეილლი, კ. რატიშვილი, ორაგველიძე, ნ. ყუფარაძე.

საბურთალოს გასაჭირი

საბჭოთა მთავრობის ერთი კარგი თვისებაა ისიც არის, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს განაპირა უბნებს, რომელნიც დასახლებულია უმთავრესად ღარიბი ხალხით. ბურჟუაზიის ბატონობის დროს, ეს უბნები მიტოვებული იყო უყურადღებოდ. ქალაქის მთელი შემოსავალი ბურჟუაზიის ხელში იყო და ისიც თავის სასიკეთოდ ხარჯავდა ხალხის ფულებს: ამშვენიერებდა, ასუფთავებდა და ანათებდა ქალაქის [illegible] ისეთ უბნებს, სადაც თვითონ ბურჟუაზია ცხოვრობდა. განაპირა უბნებს კი დასახლებულს ღარიბი მუშა ხალხით, არც განათება ჰქონდა არც წყალი თავის დროზედ, არც ქუჩები, არც სისუფთავე და არც სხვა რამ ისეთი, უიმისოდაც სოლოლაკი, მაგ. ერთ დღესაც არ გაჩერდებოდა.

გამოიცვალა დროება და ეხლა მეტი ყურადღება ექცევა ღარიბ ხალხს და ღარიბთა უბნებს, ეს ბუნებრივია და სამართლიანი, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენ დედა ქალაქში აღმოჩნდა ისეთი უბანი, რომელიც ეხლაც ყველას დავიწყებია, ესაა საბურთალო.

რამდენიმე თვის განმავლობაში საბურთალოს არც წყალი ჰქონია თურმე და არც განათება, რაც ხელს უწყობდა დიდ უსუფთაობას. არ ყოფილა მიღებული სანიტარული ზომები თავის დროზედ. არ არის საწოლი საავადმყოფო, მთელ რაიონს ემსახურება ერთი ექიმი რომელიც ამბულატორიასაც განაგებს, უბნის ექიმიც არის და სანიტარულიც თანაშემწეები კი, ფერშლები, არ ჰყოლია..

ასეთია ჩვენ მიერ შეკრებილი ცნობები. და ამ პირობებში მიტოვებულ საბურთალოს რაღაც უცნაური ეპიდემია სწვევია. ამბობენ ტროპიკული მალარია არისო. თითქმის მთელი მცხოვრებლები დაავადმყოფებულია და ლოგინად ჩავარდნილა. ადგილობრივ ექიმის ვარაუდით ავადმყოფთა რიცხვი 2,000-ზე მეტია. რასაკვირველია ამდენ ავადმყოფს ერთი ექიმი ვერ აუვა. და იხოცება ხალხი უპატრონოთ; უექიმოთ, უწამლოთ. უკვე 400 ამდე მიცვალებული დაუსაფლავებიათ. ხშირია შემთხვევა, რომ მთელი ოჯახი წოლიარეა და მომვლელი არავინაა. ყოფილა ისეთი შემთხვევაც, რომ მიცვალებული თავის დროზედ ვერ დაუსაფლავებიათ. ჭირისუფლები, მეზობლები, სულ ავად იყვნენ. სად არის ამ დროს ადმინისტრაცია, ან რა ზომებს მიმართა უბნის ექიმმა, აცნობა თუ არა სადაც საჭირო იყო თავის დროზე? და თუ აცნობა, რა გააკეთა ჯანმრთელობის განყოფილებამ? ასეთი უყურადღებობა, ასეთი გულგრილობა ხალხის უბედურებისადმი ყოვლად დაუშვებელია საბჭოთა ხელისუფლების დროს. საჭიროა ამას ყურადღება მიექცეს და დაინიშნოს გამოძიება.

საბურთალოს მცხოვრებთ კი დაუყოვნებლივ უნდა სასწრაფო დახმარება უკვე მუშაობს ადგილობრივი კომიტეტი, რომელმაც გამოიმუშავა ზოგიერთი ზომები. იმედია სათანადო უწყებები, რომელთაც უკვე აცნობეს ყოველივე, არ დააყოვნებენ და ხალხს იხსნის სიკვდილის ბრჭყალებიდან.

იაპონიის იმპერიალიზმი

1.

ამერიკანიზმის შემდეგ, იაპონიის იმპერიალიზმი ერთ-ერთ სერიოზულ ძალას წარმოადგენს საერთაშორისო ძალთა წონასწორობაში. შორეულ აღმოსავლეთის საკითხი, რომლისკენ დღეს მიქცეულია უმთავრესი ყურადღება, ვერ გადაწყდება იაპონიის იმპერიალიზმის გარეშე. აზია დღეს მსოფლიო ყურადღების ფოკუსია, სადაც გადატანილია საერთაშორისო პოლიტიკის ცენტრი, ვინც შესძლებს აზიაში ბატონობას, მას შეეძლება მთელ ევროპაში პირველობის შენარჩუნება და საერთაშორისო პოლიტიკის ჰეგემონიად გახდომა.

აღმოსავლეთი ბრძოლის ბაზად არის გამხდარი, როგორც საბჭოთა რუსეთისათვის, ისე იმპერიალისტური დასავლეთისა და ამერიკისათვის. ვინ გაიმარჯვებს და ვის დარჩება ბრძოლის მოედანი, ამის თქმა შეუძლებელია, სანამ ჩვენ ხელთ არა გვაქვს ის მიზანი რომელიც ამოქმედებს აზიას. აღმოსავლეთის საკითხის გარჩევისათვის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს იაპონიის იმპერიალიზმი, რომელიც რამდენიმე ათეული წლებში გიგანტი ნაბიჯებით წინ წავიდა და თავისი არსებობა აგრძნობინა ისეთ ბუმბერაზებს, როგორიც არის ინგლისი და ამერიკა.

რამდენიმე ათეული წელია მას შემდეგ, რაც იაპონია კაპიტალისტური წარმოების გზას დაადგა. იაპონიაში, პირველი სავაჭრო გემი 1853 წ. შევიდა, სადაც ჯერ კიდევ ფეოდალური წყობილება იყო გამეფებული. მაგრამ იაპონია სულ მცირე ხნის განმავლობაში სასწრაფით განვითარდა. ინდუსტრიალმა წარმოებამ თავისი შედეგი გამოიღო. ქალაქები გამრავლდა და გაფართოვდა. შეიქმნა მუშათა კლასი. კაპიტალმა თავისი განვითარების ყველა ეტაპები განვლო და ფინანსიური კაპიტალის ფორმაში ჩამოყალიბდა.

როგორც საერთოდ, ისე კერძოდ იაპონიაშიაც, ფინანსიური კაპიტალი შეეცადა ნაციონალი საზღვრების გადალახვას და იმპერიალისტურ პოლიტიკის წარმოებას შეუდგა ის იაპონია, რომელსაც ამ რამოდენიმე წლის წინათ ფიქრადაც არ მოუვიდოდა ასეთი პოლიტიკური გეზის აღება.

იაპონიამ აზიის სანაპირო ქვეყნებს დიდი ყურადღება მიაქცია და 1872 წ. კუნძული რიუ-კიუ შემოიერთა. ამ კუნძულს სახელიც კი წარუშალა და ოკინავის სახელწოდებით თავის პროვინციად აქცია. შემდეგი ქვეყანა, რომელიც იაპონიის იმპერიალიზმა მიზანში ამოიღო იყო კორეია. კორეიაში შევიდა იაპონია სამხედრო ძალით. დაამარცხა იგი, აიძულა სავაჭრო-ურთიერთობისათვის, ხოლო შემდეგ მოაკვლევინა კორეიის მეფე და მოახდინა მისი ოკუპაცია. იაპონიის იმპერიალიზმი, წახალისებული პირველი ნაბიჯებით ახალ ტერიტორიას დაეძებდა 1894 წ. იგი ჩინეთს შეესია ტერიტორიაც წაართვა და საკმაო ხარკიც აკრიფა*) მაგრამ, როგორც ვიცით საფრანგეთის, გერმანიის და რუსეთის „მეგობრულმა“ წინააღმდეგობამ იაპონიას ხელი აღებინა ნადავლზე. მაგრამ ახალგაზრდა ქვეყანა იმპერიალისტური მიზნებით, რომელიც გამარჯვების ექსტაზში იყო მოსული, უფრო მეტს ითხოვდა, ახალ-ახალ ავანტიურისათვის ემზადებოდა. მისი ინტერესი იყო ციმბირში და ისიც შეეცადა ციმბირის ხელში ჩაგდებას. მაგრამ ეს არც ისე ადვილი იყო, რადგან რუსეთი წარმოადგენდა ისეთ ბუმბერაზ ძალას, რომელსაც ევროპის ბუმბერაზებიც შესაფერ ანგარიშს უწევდენ. მიუხედავად ამისა ჩვენ ვიცით, რომ იაპონიამ ომი გამოუცხადა რუსეთს. ეს ომი, რომელიც 1904 წელში მოხდა, სრულიად მოულოდნელი იყო არა მარტო საზოგადოებრივი აზრისათვის, არამედ პოლიტიკური წრეებისათვისაც. მეტად არა ჩვეულებრივი გონება მახვილობა და პოლიტიკური ინტუიციის სიძლიერე იყო საჭირო, რომ წარმოედგინა 1904 წლის იაპონია უცხადებდა ომს უზარმაზარი ტერიტორიის, ურიცხვი ხალხისა და ეკონომიურად სიძლიერის მქონე რუსეთს. თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ასეთი მოულოდნელობა ომისა პირველი და უკანასკნელი არ იყო 1904 წელში. ასეთივე მოულოდნელი მოვლენა იყო საფრანგეთ-პრუსიის ომი 1871 წელს. ესპანეთ-ამერიკის 1898 წ. ინგლის-ბურების 1899—1901 წ. და ბალკანეთის ომი 1912—13-ში.

ეს ომები ნათელი ფაქტებია იმის, თუ რამდენად შესაძლებელია პოლიტიკური მოვლენათა შეუმჩნევლად წარმოშობა და სხვა კონიუქტურის წინაშე დაყენება პოლიტიკური მოღვაწისაც და შორს მჭვრეტელი დიპლომატისაც.

ჩვენ ვიცით, რომ იაპონიამ ამ ომში საკვირველი და ყველასათვის მოულოდნელი ძლიერება გამოიჩინა და რუსეთთან ზავით მან მიიღო პორტ-არტური, დალნი, ლიაოდუნის ნახევარ კუნძული, აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზა, სახალინის დიდი ნაწილი და 121 მილიონიც.

იაპონიის იმპერიალიზმი არც ამით დაკმაყოფილდა. მან დაარსა ჩინეთში ბანკები და დღეს ჩინეთში უმთავრესი ფინანსიური საქმეები იაპონიის ხელშია. მის ხელშია აგრეთვე რკინის გზის უდიდესი ნაწილი და ვაჭრობა მრეწველობა, რომელმაც ამერიკისა და ინგლისის ფაბრიკანტებსაც კი კონკურენცია გაუწია. იაპონიის ხელშია ჩინეთის ტელეგრაფის უმთავრესი სადგურები, ყველა დიდი და მნიშვნელოვანი გაზეთები პეკინისა, ტიანძინისა, შანხაისი, ფუჩოესა, მუკდენისა, ვუჩანგისა და სხვა.

მსოფლიო ომის დროს იაპონიამ დიდი დიპლომატიური შორსმჭვრეტელობა გამოიჩინა. იგი ომის გარეშე დადგა, ხოლო გერმანიის ომის გამოცხადებით ხელთ იგდო გერმანეთ-ჩინეთის ცინდაო, ხოლო 1918 წ. ისარგებლა ინგლის-საფრანგეთის მტრული განწყობილებით რუსეთის მიმართ და რუსეთის შინაური გართულებული მდგომარეობით, წამოვიდა ციმბირზე, აიღო ვლადივოსტოკი და ყველა სტრატეგიული პუნქტები დაიკავა.

ვლ. ვიდენსკის მოჰყავს იაპონელი გაზეთის „ასახის“ აზრი ციმბირის შესახებ. გაზეთი სწერს „იაპონიის ხელი უნდა იყოს იქ, სადაც სამუშაო არის. ციმბირი ისეთი მხარეა, სადაც მუშაობა იაპონიის ხელთ უნდა სწარმოებდესო“. (იაპონია იმასაც კი ოცნებობს, რომ რუსეთიდან აიღოს 300 მილ. ვალი).

მსოფლიო ომის დროს იაპონიის ვაჭრობა-მრეწველობა მეტად გაფართოვდა. 1914—1918 წლამდე წარმოების ზრდას შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს:

	ძველი წარმოების გაფართოება. იენით	ახალი წარ მოების დ არსება. იენით
1914 წ.	161,736,500	190,679,000
1918 „	1,175,182 000	2.004,825,000

ჯერ კიდევ 1910 წ. იაპონიაში 12 მ ლიარდი ფრანკის ღირებული ფასიან ქაღალდი იყო. კოლონიებში იაპონი 1914 წლის სტატისტიკის მიხედვი ყავდა 19,2 მილ. მცხოვრები, რომელ ნიც 0,3 მილ. კვ. კილომეტრის სივრც ზედ ცხოვრობდენ. მეტროპოლიაში ითვლებოდა ამავე წელს 53,0 მილ მცხოვრები 0,4 მილ. კვ. კილომეტრი 1900 წ. რკინის გზის ქსელი იყო იაპ ნიაში 5,892 კილომეტრი.

რენე პინონი, რომელიც ეხება დიდ ოკეანესათვის გამართულ ბრძოლას, ამ ბობს. მსოფლიოს დერძი ძველი ევროპი დან თან და თან გადადის დიდი ოკე ნის მიდამო, სადაც სცხოვრობენ ჩვენ ანტიპოდები, მაგრამ ამავე დროს მჭიდ როდ დასახლებული ჩინეთი, მალაი არხიპელაგი და იაპონია.

დიდ ოკეანეს სანაპიროთა შორის ია პონიას საუკეთესო ადგილი უჭირავს დ კიდეც ცდილობს პირველობას. იაპონი ძლიერი სამხედრო ფლოტი და ჯარი, რო მელმაც ჩინეთისა დ რუსეთის წინააღმდეგ ბრწყინვალედ გაიმარჯვა, მიზეზი გახდ იაპონიის ავტორიტეტის გადიდებისა დ იგი ძლიერ სახელმწიფოთა რიცხვში მოექცა. იაპონიამ მიზნათ დაისახა დიდ ოკეანეს დასავლეთ ნაწილებიდან ევრო პიელების განდევნა, მათი კოლონიები დაპყრობა, ყვითელი ხალხის განთავისუფ ლება და ამ რიგად ბატონობა შორეულ აღმოსავლეთში.

აღსანიშნავია ისიც, რომ ხალხის გამ რავლება საკვირველ სისწრაფით იზრ დება. ყოველწლიურად ემატება დაახ ლოვებით 1 ნახევ. მილ. სული, რომ ლის წყალობით კვ. კილომ. მოდის 15 სული და ზო [illegible]
ამ ბუნებრ [illegible]
ლანიების [illegible]
სასურსათ [illegible]
შეუწყობ [illegible]
და მეურ [illegible]
რებთა [illegible]
გახდიდა [illegible]
შტატებშ [illegible]
დნენ შეს [illegible]
კი უფრო ს [illegible]
იყო მათთვის, [illegible]
თქმის არ იყოს, [illegible]
მასზე ესპანელების [illegible]
ლები დახვდ თ და [illegible]
გახდა მასზე ხელი აღე [illegible]
დაკეტა თავისი საზღვრე [illegible]
ბულთათვის, ამერიკაც მათ [illegible]
ილებს, ასე რომ გზა შეიკრა [illegible]
მხრიდან გარდა ჩინეთისა, რომელიც იაპონიის მგზავსად მჭიდროდ არის დასახლებული. მხოლოდ კუნძულ ფორმოზს შეესია იაპონია და ისეთი ველური ზომებს მიმართა, რომ დამხვედრელთა შორის სრული უკმაყოფილება და წინააღმდეგობა გამოიწვია. ფორმოზი დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს ეკონომიურად მაგრამ იგი საუკეთესო ადგილია სტრატეგიულად და ვის ხელშიაც ის იქნება. იგი გახდება დიდი ოკეანეს დასავლეთ ნაწილის გზების ბატონ-პატრონი, კორეია კი როგორც ეკონომიურად, ისე სტრატეგიულად საუკეთესო მხარეს წარმოადგენს იაპონიისათვის და ეს უკანასკნელიც დიდათ დაინტერესებულია მისი შენარჩუნებისათვის.

ამ რიგად შორეულ აღმოსავლეთში სადაც კოლონიებისა და ნახევრად კოლონიების ბედზე ემყარება ანტანტა ერთი მხრივ და მეორე მხრივ საბჭოთა რუსეთი მათ ჩამოშორებას ფიქრობს მეტროპოლიისაგან, კიდევ არსებობს ახალგაზრდა ქვეყანა, რომელიც ევროპული სამხედრო ფლოტით და ძლიერებით ამაყობს, რომელსაც უჭირავს საუკეთესო სტრატეგიული პუნქტები და ცდილობს შორეულ აღმოსავლეთის

---

*) ჩინეთმა დასთმო ფორმოზისა და პესკადორის კუნძულები, აღიარა კორეიის დამოუკიდებლობა. პორტებში უპირატესობა მისცა იაპონიას და აღუთქვა 400 მილ. იენის გადახდა.

ბედი ხელში იპყრას. უნდა ითქვას, რომ ძველი ევროპა დღეს ამ ახალი ქვეყნების, ამერიკის, იაპონიის, ავსტრალიის, კანადის და სხვების მეტოქეობას განიცდის, რომელთა ინტერესებს წინააღმდეგობა მრავალ შესაძლოებას სახავს და საეჭვო პერსპექტივებს იძლევა, მაგრამ თავის-თავად ობიექტიური კულტურის პროცესის ეცენტრული გაშუქება მაინც აშკარად ვებს უმთავრეს ტენდენციას, უმთავრეს მიმართულებას.

როგორია ეს მიმართულება?

ხერ. ამაღლობელი.

ახალი ამბები

— [illegible]რათა საბჭოთა ხელისუფლების დროს კონსერვატორიების და მუსიკალურ სასწავლებლის კარი გახსნილი იყოს ფართე მშრომელ მასსებისათვის, სახალხო განათლების სამუსიკო განყოფილებამ განსაკუთრებული ცირკულიარით განკარგულება მოახდინა, რომ 1) კონსერვატორიებში და მუსიკალურ სასწავლებლებში ახლად მიღებულ მოწაფეთა შორის ტფილისში და ბათომში 50 პროც. უნდა აუცილებლად ქართველი იყოს, ქუთაისში და სხვა სამაზრო ქალაქებში კი 80 პროცენტიდან 90 პროცენტამდი. 2) 75 პროც. ყველა მოწაფეებისა უნდა ეკუთვნოდეს მშრომელ ხალხის შვილებს.

— **ცუდი ამინდები.** დასავლეთ კავკასიაში ცუდი ამინდები დაიწყო. წვიმა და ღრუბლიანი დღეები ხელს უშლიან სიმინდის დამწიფებას.

— **ვაგონები მოსწავლეებისთვის.** სახალხო განათლების კომისარიატმა შუამდგომლობა აღძრა რევკომის წინაშე, რომ მოსწავლეების სამგზავრიოდ დაეთმოს მას ვაგონები უფასოდ.

რუსეთი

მოსკოვი. დამშეულთა დამხმარე ცენტრალურ კომისიაში 30 სექტემბრამდის შემოვიდა შემოწირულება 8.392.000 000 მ. გაგზავნილია დამშეულ გუბერნიებში 7 მილიარდზე მეტი. სასურსათო შემოწირულება შემოვიდა 587.000 ფუთი.

მოსკოვი. ბავშვთა დამხმარე საერთაშორისო „კავშირმა გაგზავნა რიგიდან ვოლგის რაიონში სპეციალური მატარებელი 32 ვაგონით, რომელშიაც არის [illegible]ები: ბრინ[illegible], სახარინი [illegible]კის მუშა [illegible] დამშე[illegible] დოლარი. [illegible]ერთი თვე [illegible]ნა გამო[illegible] გაგზავნა [illegible]იყიდან ად [illegible] და გადმოა[illegible] განმავლობაში [illegible]ერთულ იქნა 24 [illegible]ლიც შეყიდულ იქმნა [illegible]ის მიერ საზღვარგარეთ, [illegible] ფუდრის ერთ მილიონ [illegible]ქერი, გაგზავნილ იქმნა, ვოლ[illegible]იონში, იმავე დროს ლატვიაში [illegible]დმოტვირთულ იქნა 400 ვაგონი ამერიკული ხორბალი.

უცხოეთი

პრაგა. ჩეხიის კომუნისტური გაზეთი გვაცნობებს, რომ მომავალ ოქტომბრის 9-დან 16-დის ეწყობა რუსეთის დამშეულთა დამხმარე კვირა. ამოძრავებულია მთელი მუშათა ორგანიზაციები; ეწყობა გამოფენები, სპექტაკლები და სხვ. წაკითხულ იქნება მოხსენებები საბჭოთა რუსეთზე.

საბერძნეთ-ოსმალეთის ომი

ბათუმი. 2 ოქტომბერი ოფიციალური ცნობა. ანგორა 29 სექტემბერს შედეგად შეტევისა ჩვენი არმიის მარცხენა ფრთის მოწინააღმდეგე იძულებული იყო დაეხია ესკი-შეხირისკენ, კონტრ-შემოტევა მტრისა კარაჰისარის რაიონიდან უკუგდებულია მტრის დიდი ზარალით.

პოლონეთი და რუსეთი.

რიგა. (რადიო) იმ დროს როდესაც პოლონეთის ავანტიურისტული ბურჟუაზია ეწევა პროვოკაციულ პოლიტიკას, იმ მიზნით, რომ დაეცეს რევოლიუციონური რუსეთი-საფრანგეთის კავშირით, მაგრამ პოლონეთის „პროლეტარიატი ყოველთვის მზათ არის დახმაროს რუსეთის ხალხს. პოლონეთის სამხედრო ტყვეები ვლადიკავკავისა, როდესაც ემგზავრებოდენ პოლონეთში დამშეულთათვის შესწირეს 4 ნახ. მილიონი მანეთი.

ევროპის გაჯანმრთელება.

მოსკოვი (რადიო) 11 ოქტომბერს ლონდონში იხსნება საერთაშორისო კონფერენცია ევროპის ეკონომიურ გამოჯანმრთელების შესახებ. კონფერენციაზე მონაწილეობას იღებენ ინგლისის, საფრანგეთის, იტალიის, იაპონიის ჰოლანდიის, შვეციის, გერმანიის, უნგრეთის და ავსტრიის წარმომადგენლები.

სიკვდილის მოგზაურობა

ძველი წესით და ძველი ადათით
სიკვდილი დადის შავი ნაბადით,
ჩაგვივლის გვერდზე ვით ალვის ხეებს,
ჩაგვივლის გვერდზე და გვითვლის დღეებს.

—

მე ვხედავ ურიცხვ შეშლილ სახეებს,
დრო-ჟამი წაშლის ყველას სახელებს;
ვერავინ იხსნის განწირულ სულებს,
ამაოთ ვკოცნით მაცხოვრის ხელებს.

—

და ასე მუდამ, ასე სულ მარად,
ძივდივართ სადღაც მძიმე ფიქრებით,
ვიდრე ჩავწვებით მიწაში წყნარად,
შემოზღუდულნი კუბოს ფიცრებით.

—

ძველი წესით და ძველი ადათით,
სიკვდილი დადის შავი ნაბადით,
ჩაგვივლის გვგრდზე ვით ალვის ხეებს,
ჩაგვივლის გვერდზე და გვითვლის დღეებს.

ქნარი.

მარცვა ტფილისში

ჩვენს გაზეთის ფურცლებზე ჩვენ, არა ერთხელ და ორჯერ აღვნიშნეთ ის ამბავი, რომელიც ყოველი მოქალაქის ყურადღებას იპყრობს და მის ინტერესს ეხება. ეს გახლავთ ძარცვა-გლეჯის და ავაზაკების თარეში ქალაქ ტფილისში. აბა ჰკითხეთ, რომელ მოქალაქესაც გსურდეთ, თუ მან არ შემოგჩივლოთ ან თავისი, ან და მეზობლის გაძარცვის ამბავი. საზარელია ამ მხრივ ტფილისის მცხოვრებთა მდგომარეობა. ავაზაკები თამამად, სრულიად მოურიდებლად დათარეშობენ ქუჩებში, დღისით, მზისით, აშკარად და სტეხენ მოქალაქეთა სახლებს, მაგრამ ეს ამბავი იმდენად არ არის საკვირველი, რამდენადაც არის საკითხავი ის, თუ—რამ გაათამამა ეს ავაზაკთა ბრბო, ვინ მისცათ ნება მათ ასე თავისუფლად მოქმედებისა? ვინ არის, ან რა ძალაა ის ძალა, რომელიც მშვიდობიან მოქალაქეებს ასეთი მოთარეშეებისაგან უნდა იფარავდეს? რას შვრება ამ დროს ჩვენი სიცოცხლის და ქონების მცველი ადმინისტრაცია-მილიცია? ჩვენ გვაინტერესებს მთელ მილიციაში და კერძოდ სისხლის სამართლის სამმართველოში ამ მხრივ რა სტატისტიკა მოიძებნება, რა დადებითი შედეგებია მიღებული ადმინისტრაციის მიერ. ადმინისტრაციის მოქმედებაში ეჭვიც არა გვსურს შევიტანოთ, მაგრამ მომხდარი ფაქტები ნებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჩვენი ადმინისტრაცია არა ხდგას თავის სიმაღლეზე თავის მოქმედებაში. ყოველი მოქალაქე ხედავს, რომ მილიციონერი ბევრ შემთხვევაში უფრო კერძო საქმეებს აქცევს ბევრს, ვიდრე ასრულებდეს ის პირდაპირ მოვალეობას. ჩვენ ვფიქრობთ: ალბად ადმინისტრაცია გართულია კერძო საქმეებში და ეს არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ იგი ვერ ამჩნევს თავის რაიონში იმ ელემენტებს, რომელნიც თავისუფლად და ლაღად დაძრწიან, არაფერს აკეთებენ, არ შრომობენ და ასეთი ხალხი ყოველ დღიურად მილიონის ციფრების ხიენება ანაზანად გაუხდიათ. ესევე უნდა იყოს მიზეზი იმისა, რომ ჩვენი ადმინისტრაცია ერთხელაც არის არ შეიხედავს იმ საჩაიე-ყავახანებში და ისეთ დაწესებულებებში, სადაც მრავლად ბუდობენ ქურდი ავაზაკები და საეჭვო პირები.

ამ მხრივ პირდაპირ მსხვერპლი შეიქმნა ტფილისის მე-8 სამილიციო უბანი ე. წ. ჩუღურეთის რაონი. ამ რაიონში ძნელად ნახავთ ისეთ ოჯახს, რომელიც გაქურდული არ იყოს. ქურდი ავაზაკები ისე გათამამდნენ, რომ ხშირად ეს ამბავი საკომედიო ხასიათს ღებულობს. აი მაგალითი: ამას წინეთ ამ ჩუღურეთის რაიონში ერთ ასოთ-ამწყობ მუშას სახლი გაუქურდეს, მუშამ სწრაფად გაიგო ეს ამბავი გამოეკიდა და დაეწია, მაგრამ აქ პირდაპირ სასაცილო სცენა მოხდა. ქურდი არა თუ შეშინდა და გაიქცა, პირიქით შეებრძოლა გაძარცულ მუშას, მოპარული ნივთი ორივეს ეკავათ ხელში; პატრონი თავისკენ ეწეოდა და ქურდი კიდევ თავისკენ და არ ანებებდა პატრონს ნივთს. ეს სურათი უკანასკნელი 30 წუთი მაინც გაგრძელდა. ვიდრე მეზობლები არ მიეშველნენ და ბოლოს ბრძოლაში „დაღლილი" ქურდი შეიპყრეს. მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ესეთი მოვლენა ქურდების მხრივ გათამამებაა და ხალხის მასხარად აგდება.

ამ ორი კვირის წინედ, იმავე ჩუღურეთში, ერთმა პურის მცხობელმა როდესაც დუქნის კარი დაკეტა მაგრამ და ძილს აპირებდა, ვიღაცა, ვითომდა „პურის მყიდველებმა", ხვეწნით გაადებინეს დუქანი და როდესაც შიგ შევიდნენ, უცბად ამოიღეს რევოლვერები და ფული მოსთხოვეს. წაართვეს ნახევარი მილიონი. გაძარცვის შემდეგ მეპურემ განაცხადა, რომ ჯარისკაცები იყვნენ, მაღალი „ბოლშევიკების" ქუდები ეხურათო. ეს ამბავი მეტად საყურადღებოა. ჩვენ არა გვგონია, რომ ეს ძარცვა მართლა ჯარისკაცებს მოექმედნოთ.

თვით ამ სტრიქონების დამწერი რამოდენიმე თვის განმავლობაში ორჯელ გაძარცვეს და როდესაც მილიციას მიუთითეს მეტად საეჭვო პირებზე, ისინი ჯერ დაიჭირეს და მერე იგევ გაუშვეს: დამნაშავეთ ვერ იცნეს, რადგანაც „დანაშაულის ადგას არ იქნენ შეპყრობილი. შემდეგ სისხლის სამართლის მილიციას შევატყობინეთ, რომ შეეპყროთ გამოჩენილი ქურდების მეთაურ-ორგანიზატორი ალამბარაშვილი, მაგრამ ზომების მიღების დროს აღმოჩნდა, რომ ალამბარაშვილი წითელ არმიაში მსახურობს და როგორც ასეთზე, უბრალო ეჭვის მიტანაც არ შეიძლება. სულ ერთმა თვემ გაიარა და მიხეილის ქუჩაზე გასტეხეს ფეხსაცმელების მაღაზია და შიგ დაიჭირეს ეს „პატიოსანი წითელ არმიელი" ალამბარაშვილი. გამოძიების დროს, რეგისტრაციამ აღმოაჩინა, რომ ეს ალამბარაშვილი ყოფილა ერთი სათვალჩინო ხელმძღვანელი ქურდებისა, რომელიც უმთავრესად მოქმედობდა ჩუღურეთის რაიონში. ავაზაკიორგანიზატორი ალამბარაშვილი დახვრიტეს. ამ პატარა გაზეთის ფურცლებზე არ შეიძლება ყველა იმ ცნობების გამოაშკარავება, რომელიც არა თუ მარტო ჩვენ, არამედ ჩუღურეთის რაიონის ყოველმა მცხოვრებმა იცის. ეს უსამართლობა უმაღლეს წერტილამდე არის ასული, და მიუხედავად ამისა მცხოვრებლები ვერავისაგან „გამოხმაურებას" ვერა პოულობენ: ყოვლად შეუძლებელია ამას მოთმენა—ღარიბი ოჯახი გაჰყიდის სახლიდან ნივთებს, იყიდის 2—3 ფუთს ხორბალს და უცბად გათამამებული ავაზაკები შეუცვივდებიან სახლში და სტაცებენ. ასეთს მდგომარეობაში არა მარტო ჩუღურეთი, არამედ ტფილისის ყოველი რაიონი. დარაჯი მილიციონერები არა ჩანან გარეშე უბნებში იქ, სადაც სცხოვრობს მეტად ღარიბი და მუშა ხალხი. საჭიროა ამ მოვლენას ყურადღებას მიაქცევდეს ვინმე და მოსთხოვდეს მთავრობას, რომ მეტის ინტერესით მოეპყრას ხალხის ბეოხებას და სიცოცხლეს ავაზაკების თარეშისაგან, რომელსაც ვერ იქნა და ბოლო ვერ მოეღო.

უნდა გაუმჯობესდეს შტატი მილიციელთა და ამასთანავე უნდა გაიწმინდოს თვით მილიციაც მეტად საეჭვო და მავნე ელემენტებისაგან, რომელნიც იქ არიან მოკალათებულნი. ამასთანავე აუცილებლად უნდა გაუმჯობესდეს მილიციელთა მდგომარეობა. მშიერი კაცი ვერავის ქონებას ვერ დაიცავს.

გამოსარკვევია თუ ქურდების ორგანიზატორი ალამბარაშვილი როგორ დ ვისი „რეკომენდაციით" წითელ არმიაში.

ასეთი ალამბარაშვილები უნდა გამოინახოს ყველგან რისთვისაც საჭიროა სასტიკი რევიზია.

მოქალაქე დ. მ—შვილი.

თეატრი და ხელოვნება

სათეატრო სეზონის დაწყება. შაბათს, ოქტომბრის 1 გაიხსნა ტფილისში საოპერო სეზონი ზ. ფალიაშვილის ცნობილ ორიგინალური ოპერით „აბესალომ და ეთერი".

წარმოდგენის წინ ორკესტრმა და ხორომ შეასრულა „ინტერნაციონალი" და „დიდება", რომელიც საზოგადოებამ ფეხზე ადგომით მოისმინა და ტაშით დააჯილდოვა.

ოპერა დასდგა ა' წუწუნავამ და კარგადაც, მაგრამ შეცდომად უნდა ჩაითვალოს მეფის სასახლეში მემუსიკეთა გამოყვანა თითბრის ჩასაბერი ინსტრუმენტებით, რაც არ შეეფერება ლეგენდის ხანას და მოკლებულია ქართულ ელფერს. შესრულების მხრივაც ოპერა არ იყო უნაკლო და ეტყობოდა მოუმზადებლობა.

კვირას, ოქტომბრის 2 დასდგეს „ჰოფმანის ზღაპრები", მუსიკა ოფენბახისა, სტოლერმანის ლოტბარობით. დადგმა (აქაც ა. წუწუნავასი) უკეთესი იყო, მაგრამ შესრულება კი აქაც მოიკოჭლებდა.

ორივე საღამოს თეატრი ხალხით სავსე იყო და დიდ ხანს იწვევდნენ ამსრულებლებს.

დილეტანტი.

—

სახელმწიფო დრამის თეატრი. დრამის თეატრში ინტენსიური მუშაობა გაჩაღებულია. აკადემიური დასები, როგორც ქართული, ისე რუსული, უკვე შეუდგენ მუშაობას და დაიწყეს რეპეტიციები. დასები შევსებულია ახალი პერსონაჟებით. მომავალ სეზონის რეპერტუარში შევიდა ბევრი ახალი პიესა, როგორც ნათარგმნი ისე ორიგინალურიც. წასული სეზონის რეპერტუარიდან განზრახულია ზოგიერთი პიესების განახლება, როგორც მაგ. „ოტელლო", „ღალატი", „მსხვერპლი" „ირინეს ბედნიერება" და სხვ..

სეზონის გახსნისათვის მზადდება ერისთავის „დავა" კ. ანდრონიკაშვილის რეჟისორობით. რუსული დასი ამზადებს შოოლოვან ლერმბერგის პიესას „პან" ალ. ტუგანოვის რეჟისორობით, „წარღვნა"-ს გენინგ შერგერის, „მემკვიდრე ალექსი"-ს მერეჟკოვსკისა და სხვა.

სეზონის გახსნა ნავარაუდევია ოქტომბრის ათ რიცხვისათვის.

—

პოეზიის საღამო. ოქტომბრის ხუთს კონსერვატორიის დარბაზში გაიმართება პოეზიის საღამო. მონაწილეობენ პოეტები: ტიციან ტაბიძე, ვ. გაფრინდაშვილი, პაოლო იაშვილი, შ. აფხაიძე, გრ. ცეცხლაძე, გ. ლეონიძე, ნ. მიწიშვილი, ივ. ყიფიანი, რ. გვეტაძე, შალვა კარმელი, ს. ჩიქოვანი, რ. გოგოხია, ტ. გრანელი, გ. აგარელი, ლ. ძიძიგური, გ. საგანელი, კ. ჩაჩავა, ე. ყანჩელი, გრ. ზოდელი, ზ. ვარდოშვილი, კონნე სპერელლი, კ. რატიშვილი, გრ. ორაგველიძე, გრ. ხუფარაძე.

—

მწერალთა კავშირის სარევიზ. მისიის წევრებს საყურადღებოდ 6 ოქტ. საღამოს 6 საათ. ხელ. სასახლეში (სერგიევის ქ. № 13) ნულია მწ[illegible] კომისიის სხდომა [illegible] ბულია.

კომ. წევრი ამ. ბერეკაშვილი.

მოწერილი ამბები

ფოთი. წრევანდელი გვალვები სწორედ ფოთის ყანებისათვის იყო. არ დარჩენილა ფოთში ცარიელი ნაპერი მიწა დაუთესავი, როგორც ქალაქში აგრეთვე მიდამოებში. ყოველგან ისეთი სიმინდია, როგორიც არას დროს არ უნახავს ადამიანს. გვალვების მიზეზით წრეულს ისეთი ადგილებიც არის დათესილი და საუკეთესო სიმინდის ყანები აბია სადაც, კვირიკობ-მარიობის თვეშიც ტბა იყო. წრეულს კი, არა თუ მშრალია ყანები, არამედ თხრილებში არ მოიძებნებოდა წყალი. მაგრამ აგერ სამი დღეა რაც დაიწყო კოკისპირული წვიმები და ჩვეულებრივი ნიაღვარი დააყენა ყოველგან ყანებში და ქუჩებშიც, წვიმები გრძელდება და გავს დიდად დაზარალებს ფოთის ყანებს. სამწუხაროა, ხოლერა, რომელიც მძვინვარებდა, ამ დროებით შეწყვეტილია.

აქაურ ვაჭრების თავსატეხ საკითხად არის სახიტარული გადასახადის განაწილება.

ფოთზე იყო 1 ნახ მილიარდი გაწერილი, მაგრამ შეუმცირეს ხუთას მილიონზე დ ესეც ხაძნელო აღმოჩნდა, ვინაიდან ფოთში ვაჭრობა მრეწველობა ფრიად დაცემულია.

მოხამხაზურე.

დადგენილება № 79.

საქართველოს სოც. საბჭოთა რესპ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

ბანდიტიზმის მოსასპობად სათანადო ღონისძიებათა მიღების შესახებ.

ბანდიტიზმი რესპუბლიკაშიც თანდათან მუდმივი მოვლენის ხასიათს იღებს. ბანდიტთა ბრბოების მოქმედება მიმართულია საბჭოთა ხელისუფლების ავტორიტეტის სავნებლად და მუშათა და გლეხთა მონაპოვართათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს.

ამ საფრთხის ასაცილებლად საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტი ადგენს:

1. ბანდიტიზმი განხილულ და შეფასებულ უნდა იქნეს, როგორც ყოვლად საშიში კონტრ-რევოლიუციონური მოვლენა და რესპუბლიკის ტერიტორიაზე მომქმედი ბანდიტთა ყოველი ბრბო უნდა მოისპოს სულ მოკლე ხანში სავსებით და ულმობლად.
2. ამ ბრბოთა ლიკვიდაცია დაეკისროს საქართველოს საგანგებო კომისიას.
3. ამასთანავე ეცხადება ყოველ ბანდიტს, რომ ვინც მათგანი, ათი დღის განმავლობაში ამ დადგენილების გამოქვეყნების დღიდან, იარაღს დაჰყრის და მშვიდობიან შრომას დაუბრუნდება, მიენიჭება სიცოცხლე და თავისუფლება.
4. წინადადება ეძლევა რესპუბლიკის ყოველ მოქალაქეს გაუწიოს საქართველოს საგანგებო კომისიას სრული და ნამდვილი დახმარება, მისთვის დავალებული საქმის შესასრულებლად და ამასთანავე ნუ დაივიწყებს თავის მოვალეობას, რომ უნდა აცნობოს ხოლმე საქართველოს საგანგებო კომისიას და ადგილობრივ პოლიტიკურ ბიუროს ბანდიტების შედგენილობა, მათი ადგილ-სამყოფელი, განზრახვანი და სხვ. ამისთ.

საქართველოს რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
ხ. ქავთარაძე.

შრომის სახალხო კომისრის მოადგილე ა. მიქაძე,

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი ალ. ხალარიძე.

1921 წ. ოქტომბრის 3.

ტფილისი-სასახლე.

ჩვენი ფოსტა

დ. ხარაგაულში, სანდრო ბოჭორიშვილს დღეს გამოგეგზავნათ მანდატი ფოსტით.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია
გამომცემელი—დრ. მთავარი კომიტეტი.